საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-02/190

ქ. ბათუმი 01 აგვისტო, 2022 წ.

ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 28 ივლისის N01-10/79 ბრძანების, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 01 აპრილის N01-10/31 ბრძანების, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორის როინ მალაყმაძის 2022 წლის 27 ივლისის MES 9 22 0000848299 და აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის, ნინო მხეიძის 2022 წლის 28 ივლისის MES 3 22 0000850461 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი წინამდებარე ბრძანების **N1 დანართით** გათვალისწინებული ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად.
2. **გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე** - www.bsu.edu.ge (კონკურსების ველში) კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაცია **(წინამდებარე ბრძანების N2 დანართი)**, წინამდებარე ბრძანება, **ასევე სამართლებრივი აქტები:** ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; ბსუ-ს შინაგანაწესი; ბსუ-ში სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა; „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილება, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქცია; ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულები ფორმა.
3. საკონკურსო ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) საკონკურსო განცხადების, კონკურსანტის ანკეტის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა - **2022 წლის 01 სექტემბრიდან 06 სექტემბრის ჩათვლით, 10:00** საათიდან 16:00 საათამდე, ბსუ-ს საპროცედურო კომისიაში, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის N32/35 (საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) სამუშაო ოთახი №16). მატერიალური სახით წარმოდგენამდე კონკურსანტებმა

საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - bsukonkursi2022@bsu.edu.ge;

ბ) კონკურსი ჩატარდეს **2022 წლის 8 სექტემბრიდან 09 სექტემბრის ჩათვლით;**

გ) საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2022 წლის 12 სექტემბრისა.

4. ქვეყანაში შექმნილი ეპიდვითარების გათვალისწინებით:

ა) კოვიდინფიცირებული (ან თვითიზოლაციაში მყოფი) კონკურსანტი უფლებამოსილია ამ ფაქტის შესახებ წერილობით განცხადებასთან ერთად წარმოადგინოს საკონკურსო განცხადება და დოკუმენტაცია ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - bsukonkursi2022@bsu.edu.ge. ასეთ შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების განსაზღვრის წესის'' მე-4 მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნული ცნობა გაიცეს ელექტრონულად, კონკურსანტის იმავე ელექტრონულ ფოსტაზე;

ბ) კოვიდინფიცირებული (ან თვითიზოლაციაში მყოფი) კონკურსანტის შესაბამისი განცხადების შემთხვევაში დასაშვებია მის მიერ განცხადების/**საჩივრის** საპროცედურო კომისიაში ელექტრონულად წარდგენა (ასეთ შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე/მომჩივანზე, „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების განსაზღვრის წესის'' მე-7 მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ცნობა გაიცეს ელექტრონულად, კონკურსანტის იმავე ელექტრონულ ფოსტაზე);

გ) დასაშვებია **საკონკურსო კომისიამ** კონკურსანტთა განცხადებები და საკონკურსო დოკუმენტაცია საპროცედურო კომისიისგან მიიღოს მხოლოდ ელექტრონული სახით (შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე წარმოდგენილი), ხოლო მატერიალური სახით წარმოდგენილი მასალა - მხოლოდ ამის საჭიროების შემთხვევაში;

დ) დასაშვებია საკონკურსო კომისიამ დაადგინოს **მუშაობის** ან/და **კონკურსანტებთან გასაუბრების** დისტანციური ფორმატი (ZOOM პლატფორმის მეშვეობით);

ე) დასაშვებია **სააპელაციო კომისიამ** დაადგინოს მუშაობის დისტანციური ფორმატი (ZOOM პლატფორმის მეშვეობით), მათ შორის განმარტების მისაღებად ონლაინ-სხდომაზე მოიწვიოს შესაბამისი კომისიების (საპროცედურო, საკონკურსო, სამუშაო ჯგუფი) წევრები ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც შესაძლოა სამსახურებრივი საქმიანობით დაკავშირებული იყოს კონკურსანტის მიერ გასაჩივრებულ საკონკურსო პროცედურებთან."

5. კონკურსის შედეგების ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცების შემდეგ კონკურსში გამარჯვებულ პირებთან დაიდოს შრომითი ხელშეკრულებები და ამოქმედდეს **2022 წლის 19 სექტემბრიდან** (ხანგრძლივობა 5 წელი).

6. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ბსუ-ს პერსონალმა **2022 წლის 24 აგვისტოდან 31 აგვისტოს** ჩათვლით ვადებში განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

ა) 2022 წლის 24-26 აგვისტოს - ბსუ-სთან შრომითი გამოცდილების მქონე და კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურში წარდგენილი იქნეს სამეცნიერო პერსონალის კონკურსის ჩატარების წესით დამტკიცებული კონკურსანტის ანკეტაში აღნიშნული, კონკურსანტის ნაშრომის/სტატიის/მოხსენების შესახებ ინფორმაცია თანდართული ფორმით **(დანართი 3)** შესაბამისად;

ბ) 2022 წლის 29-31 აგვისტოს - სამეცნიერო კვლევების სამსახურმა (რექტორის მოადგილესთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით) უზრუნველყოს დადგენილ ვადაში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი, წინამდებარე ბრძანების მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციის ხელმოწერით დადასტურება.

7. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა.ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, აკადემიური საბჭოს სამდივნოს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 01 აგვისტოს N01-02/190 ბრძანების

დანართი 1

	ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის	
	ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების	
№	საშტატო ერთეულის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა
1.	მეცნიერი თანამშრომელი	2
	ეთნოლოგიის, სოციოლოგიური კვლევის განყოფილების ვაკანტური საშტატო ერთეული	
2.	მეცნიერი თანამშრომელი	1

ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის		
აგრარული და კვების პროდუქტების ტექნოლოგიების განყოფილების		
№	ვაკანტური საშტატო ერთეულის დასახელება	ვაკანტური საშტატო ერთეულის რაოდენობა
1.	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	1

,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 01 აგვისტოს N01-02/190 ბრძანების

დანართი N2

ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაცია

1. გამოცხადდეს კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,ბსუ“) სამეცნიერო თანამდებობების (უფროსი მეცნიერი თანამშრომელის, მეცნიერი თანამშრომელის) დასაკავებლად:

	ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი	
	ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება	
№	საშტატო ერთეულის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა
3.	**მეცნიერი თანამშრომელი**	2
	ეთნოლოგიის, სოციოლოგიური კვლევის განყოფილება ვაკანტური საშტატო ერთეული	
4.	**მეცნიერი თანამშრომელი**	1

ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი		
აგრარული და კვების პროდუქტების ტექნოლოგიების განყოფილება		
№	ვაკანტური საშტატო ერთეულის დასახელება	ვაკანტური საშტატო ერთეულის რაოდენობა
2.	**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი**	1

3. საკონკურსო განცხადება, კონკურსანტის ანკეტა და შესაბამისი **დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს 2022 წლის 01 სექტემბრიდან 06 სექტემბრის ჩათვლით,** 10:00 საათიდან 16:00 საათამდე, ბსუ-ს საპროცედურო კომისიაში, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის N32/35 (საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) სამუშაო ოთახი №16).

მატერიალური სახით წარმოდგენამდე კონკურსანტებმა საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - bsukonkursi2022@bsu.edu.ge;

4. კონკურსი ჩატარდება **2022 წლის 08 სექტემბრიდან 9 სექტემბრის ჩათვლით.**
5. საკონკურსო კომისიების შემაჯამებელი ოქმები არაუგვიანეს 2022 წლის 12 სექტემბრისა გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge).
6. კონკურსის შედეგების ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცების შემდეგ, კონკურსში გამარჯვებულ პირებთან დაიდება შრომითი ხელშეკრულებები (ხანგრძლივობა - 5 წელი) და ამოქმედდება **2022 წლის 19 სექტემბრიდან** (იხილეთ ამავე ველში ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმა).
7. **კონკურსის ძირითადი პირობებია:**

   7.1. **უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე** 5 (ხუთი) წლის ვადით აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და **აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:**

ა) ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს კლასიფიკატორის 2.3, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.6 ან 3.3 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთ-ერთი ნაშრომი/მონოგრაფია;

ბ) ბოლო 3 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული და გამოქვეყნებულია შესაბამისი თეზისი/თეზისები კლასიფიკატორის 1.3 (ქართველოლოგიური დარგებისათვის) ან 1.4 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) ბოლო 3 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული ან მონაწილეობს კლასიფიკატორის 4.6 პუნქტებით განსაზღვრულ სამეცნიერო აქტივობებში;

დ) აქვს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის/მეცნიერი თანამშრომლის ან ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასოცირებული პროფესორის/ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

   7.2. **მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე** 5 (ხუთი) წლის ვადით აირჩევა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც **აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:**

ა) ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს კლასიფიკატორის 2.3, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.6 ან 3.3 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთერთი ნაშრომი/მონოგრაფია;

ბ) ბოლო 3 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული და გამოქვეყნებულია შესაბამისი თეზისი/თეზისები კლასიფიკატორის 1.3 (ქართველოლოგიური დარგებისათვის) ან 1.4 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში.

(**შენიშვნა:** წინამდებარე კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში აღნიშნული ე.წ. ,,კლასიფიკატორში" იგულისხმება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების" **დანართი 1**).

8. **უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობებზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:**

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში სამეცნიერო მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვა, დამოწმებული/გაცემული შესაბამისი დაწესებულების მიერ);

დ) სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესით მოთხოვნილი, ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (სტატია), რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო საქმიანობას - საკონკურსო კომისიის მიერ შეფასებისათვის;

ე) სამეცნიერო კვლევის კონცეფცია;

ვ) 2 ფოტოსურათი (ზომა 3x4).

9. **მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:**

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის (მინიმუმ მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის) დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების)კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) სამოტივაციო წერილი;

დ) 2 ფოტოსურათი (ზომა 3x4);

10. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა **საპროცედურო კომისიას <u>ასევე უნდა</u> წარუდგინოს:**

ა) <u>განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ</u> (შედგენილი ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილებით დამტკიცებული N2 დანართის შესაბამისად);

ბ) <u>კონკურსანტის ანკეტა</u> (შედგენილი ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების" დანართი 3-ის შესაბამისად);

გ) <u>ნასამართლობის შესახებ ცნობა</u> (**შენიშვნა**: ,,უმაღლესი განათლების შესახებ" 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით

გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე საკონკურსო დოკუმენტაციის საპროცედურო კომისიაში წარდგენის დღისათვის (რეგისტრაციის დღე) ნასამართლობის შესახებ ცნობა უნდა იყოს მოქმედი (კანონმდებლობის თანახმად ცნობის მოქმედების ვადა 15 დღეა).

11. **ქვეყანაში შექმნილი ეპიდვითარების გათვალისწინებით:**

ა) კოვიდინფიცირებული (ან თვითიზოლაციაში მყოფი) კონკურსანტი უფლებამოსილია ამ ფაქტის შესახებ წერილობით განცხადებასთან ერთად წარმოადგინოს საკონკურსო განცხადება და დოკუმენტაცია ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - bsukonkursi2022@bsu.edu.ge. ასეთ შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების განსაზღვრის წესის“ მე-4 მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნული ცნობა გაიცეს ელექტრონულად, კონკურსანტის იმავე ელექტრონულ ფოსტაზე;

ბ) კოვიდინფიცირებული (ან თვითიზოლაციაში მყოფი) კონკურსანტის შესაბამისი განცხადების შემთხვევაში დასაშვებია მის მიერ განცხადების/**საჩივრის** საპროცედურო კომისიაში ელექტრონულად წარდგენა (ასეთ შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე/მომჩივანზე „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების განსაზღვრის წესის'' მე-7 მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ცნობა გაიცეს ელექტრონულად, კონკურსანტის იმავე ელექტრონულ ფოსტაზე);

გ) დასაშვებია **საკონკურსო კომისიამ** კონკურსანტთა განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია საპროცედურო კომისიისგან მიიღოს მხოლოდ ელექტრონული სახით (შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე წარმოდგენილი), ხოლო მატერიალური სახით წარმოდგენილი მასალა - მხოლოდ ამის საჭიროების შემთხვევაში;

დ) დასაშვებია საკონკურსო კომისიამ დაადგინოს **მუშაობის** ან/და **კონკურსანტებთან გასაუბრების** დისტანციური ფორმატი (ZOOM პლატფორმის მეშვეობით);

ე) დასაშვებია **სააპელაციო კომისიამ** დაადგინოს მუშაობის დისტანციური ფორმატი (ZOOM პლატფორმის მეშვეობით), მათ შორის განმარტების მისაღებად ონლაინ-სხდომაზე მოიწვიოს შესაბამისი კომისიების (საპროცედურო, საკონკურსო, სამუშაო ჯგუფი) წევრები ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც შესაძლოა სამსახურებრივი საქმიანობით დაკავშირებული იყოს კონკურსანტის მიერ გასაჩივრებულ საკონკურსო პროცედურებთან.

12. **სამართლებრივი აქტების** გაცნობა (ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; ბსუ-ს შინაგანაწესი; ბსუ-ში სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა; ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილება, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქცია; ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულები ფორმა) **და კონკურსანტთა განცხადებისა და ანკეტის ფორმების ჩამოტვირთვა** შესაძლებელია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდიდან - **www.bsu.edu.ge** (კონკურსების ველი).

„ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 01 აგვისტოს N01-02/190 ბრძანების დანართი 3

ბსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ერთეული: _____

სამეცნიერო ქვე-სტრუქტურული ერთეული (განყოფილება) _____ განყოფილება

ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობა _____

კონკურსანტის სახელი, გვარი: _____

1. ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე-3 მუხლით მოთხოვნილი პუბლიკაციები/სტატიები (ბოლო სამი წლის , 2019-2022 მონაცემები; არაუმეტეს ხუთისა): (ცხრილი უნდა შეივსოს ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყებული უახლესი ინფორმაციით)

№	ავტორები, ყველა თანაავტორის მითითებით (თანაავტორების შემთხვევაში კონკურსანტის გვარი გამოიყოს მუქი შრიფტით)	სტატიის სათაური	ჟურნალის/კრებულის დასახელება, ნომერი. ISSN, ISBN, DOI პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში)	გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი და სტატიის გვერდების რაოდენობა	ინდექსირების /ციტირების შემთხვევაში მიუთითეთ შესაბამისი ბაზა	კლასიფიკატორის ქვეპუნქტები, რომელსაც შეესაბამება პუბლიკაციები/სტატიები	შენიშვნა
1							

ავტორი:

ვადასტურებ:
რექტორის მოადგილე: ა. ბერიძე

ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი: ვ. ღლონტი

შევსების თარიღი:

სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი: თ. მაჭუტაძე

2							
3							
...							

2. სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია (არაუმეტეს ხუთისა):

№	ავტორები, ყველა თანაავტორის მითითებით (თანაავტორების შემთხვევაში კონკურსანტის გვარი გამოიყოს მუქი შრიფტით)	ნაშრომის დასახელება	პუბლიკაციის სახეობა (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები და სხვა)	ჟურნალის/კრებულის დასახელება, ნომერი. ISSN, ISBN, DOI პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში)	გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი და სტატიის გვერდების რაოდენობა	ინდექსირების/ციტირების შემთხვევაში მიუთითეთ შესაბამისი ბაზა	შენიშვნა
1							
2							
3							
...							

ავტორი:

ვადასტურებ:
რექტორის მოადგილე: ა. ბერიძე

ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი: ვ. ღლონტი

შევსების თარიღი:

სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი: თ. მაჭუტაძე

3. მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებზე (კონფერენცია, ფორუმი, სიმპოზიუმი და ა.შ. *(ბოლო სამი წლის , 2019-2022* **მონაცემები,** არაუმეტეს ხუთისა):

№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების ორგანიზატორი	ჩატარების ადგილი, თარიღი	მოხსენების თემა	თანაავტორი	ელექტრონული მისამართი	ინდექსირების/ციტირების შემთხვევაში მიუთითეთ შესაბამისი ბაზა		კლასიფიკატორის ქვეპუნქტები, რომელსაც შეესაბამება პუბლიკაციები/სტატიები	შენიშვნა
1										
2										
3										
...										

ავტორი:

ვადასტურებ:
რექტორის მოადგილე: ა. ბერიძე

ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი: ვ. ღლონტი

შევსების თარიღი:

სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი: თ. მაჭუტაძე